

№ 11 ივნისი თბილისი. 1957

# ნიანგი

ნახ. ჯ. ლოლუას

— გაიგე, თბილისი რიგას ეჯიბრება ქალაქის კეთილმოწყობაში.

— ნეტავ ჩვენი ავეჯის ფაბრიკაც შეეჯიბრებოდეს რიგისას, იქნებ რიგიანი პროდუქცია გამოუშვან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლადო გუდიაშვილი

(მეგობრული შარჟი, მისი სურათების გამოფენის გამო)

შემოქმედის გრძელი შარა
ვაჟკაცურად გაიარა,
ზოგჯერ შეხვდა ვარდ-ყვავილი,
ზოგჯერ—წყლული და იარა,
მაგრამ მხატვრის დიდი ფუნჯი
დაბლა კი არ დაუხრია,
მოდით, ნახეთ, ამ პალიტრით
რა მწვერვალი დაუპყრია!

ძველი—წარსულს ჩააბარა,
დღეს ახალი ალხენს კილო,
ბარაქალა, ჩვენც გვახარებს
ყველა მისი დიდი ტილო!

ნახ. დოწიხა

## რა წერია საბუთებში

თქვენს წინ მთელი დასტა საბუთების აწყვია.

ფურცლავთ. აკვირდებით ამ დასტას, ჩასწვდებით მათ შინაარსს და რწმუნდებით, რომ ამბავი, რომელიც მათშია მოთხრობილი, ყოველგვარ „ექსტრაორდინალურს" აღემატება თავისი „უილბლობით", დიდი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოვლენის მნიშვნელობის შეუფასებლობით, ამა თუ იმ პირთა და ორგანოთა ზერელეობით და გიკვირთ, რომ...

მაგრამ სჯობს თვითონვე გაიკვირვოთ.

ამ საბუთებში ბინის სივიწროვეზე, უფრო სწორად, უბინაობაზეა ლაპარაკი. მაგრამ, ეს „მავანი და მავანი" სავარძლოსანის ნათესავს როდი ეხება, იქ მეტად დიდი დაწესებულების, დედაქალაქის ონკოლოგიური დისპანსერის ბედზეა ლაპარაკი.

ონკოლოგიური დისპანსერი—კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის, ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობის, მათი გამოვლინებისა და პროფილაქტიკის გამტარებელი დაწესებულებაა. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მას უდიდესი როლი აკისრია. პარტია და ხელისუფლება სახსრებს და ყურადღებას არ ზოგავენ მსგავსი სამკურნალო ქსელის გასაფართოებლად, მათი ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

აქედან—თბილისის ქალაქის ონკოლოგიური დისპანსერის დიდი მნიშვნელობა. ხომ გასაგებია? დიახაც გასაგებია, მაგრამ ზოგს რომ არ ესმის! მაშ, ფაქტებს მივცეთ სიტყვა:

დებულებით დისპანსერს აქვს თავისი პოლიკლინიკა—სპეციალიზირებული კაბინეტებით, სტაციონარით, საოპერაციო და სხვა განყოფილებებით, სამკურნალო-სადიაგნოსტიკო რენტგენის კაბინეტით, კლინიკური და ჰისტოპათოლოგიური ლაბორატორია, მეთოდური კაბინეტი, ჰოსპიტალი და სხვა.

ალბათ წარმოიდგინეთ მისი შტატი, ავადმყოფთა კონტინგენტი, მომსვლელნი და წამსვლელნი, რა ინტენსიური მუშაობის ასპარეზია, რამხელა ფართობია, რამდენი ოთახი და განყოფილებაა. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ ეს დისპანსერი... მოთავსებულია თბილისის მე-14 პოლიკლინიკის შენობის ერთ ოთახში და ზომით ათი კვადრატული მეტრი ფართობი უკავია!

ეს რომ ხუმრობა იყოს, კაცი გაიცინებდა. მაგრამ რა სიცილის გუნებაზე დადგებით, თუ, ვთქვათ, აზრად მოგივიდათ და ამ დისპანსერის მარტო სპეციალისტების შტატი ერთად შეჰყარეთ ამ ათმეტრიან ოთახში.

იქნებ იფიქროთ, რომ ეს კურიოზული ამბავი ვინმეს გამორჩა მხედველობიდან, რომელიმე ზემდგომმა ორგანომ არ გაითვალისწინა, არ მიუთითა რომელ დაწესებულებასაც ეხება, არ დაისახა ორგანიზაციული თუ ფინანსიური ღონისძიება და სხვა ამგვარიო?

რა ბრძანებაა!

თბილისის ონკოლოგიური დისპანსერისათვის შესაფერისი ბინის გამონახვა, სასურველ ფართობში მისი მოთავსება, გამართვა, ხელსაწყოაპარატურით, შტატით, ტრანსპორტით უზრუნველყოფა და სხვა აუცილებელი ღონისძიებების გატარება არაერთხელ დაევალა ვისაც ჯერ არს და ვისგანაც ჯერ არს.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ საკავშირო ჯანდაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა ეს ღონისძიება. ახლა ბინის საკითხი: 1952 წელს საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიამ დაავალა კაპიტალური მშენებლობის და საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსებს, რომ მათ 1953 წლისათვის ბიუჯეტში გაეთვალისწინებინათ სათანადო თანხები 150-საწოლიანი ონკოლოგიური დისპანსერის შენობის დასაპროექტებლად.

მსგავსი დადგენილება 1953 წელშიც გაიმეორა აღნიშნულმა სამინისტრომ; რაკი ეს დადგენილებები ქაღალდის ფურცლებს არ გასცილდა, ახლა საქ. სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს წარდგენით საქ. მინისტრთა საბჭომ 1954 წელს მიიღო საჭირო დადგენილება, რითაც სათანადო ორგანოებს ევალებოდათ მუშაობის დაწყება.

გავიდა ხანი და ამ დადგენილებებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილება მიემატა. საქმე ადგილიდან მაინც არ დაძრულა. ქაღალდებს კი ახალი დადგენილებები და გადაწყვეტილებები ემატებოდა—ხან მედმუშაკთა პროფკავშირის კომიტეტისა, ხან ქალაქის საბჭოს ჯანდაცვის განყოფილებისა და სხვა მრავალი.

ერთი სიტყვით, ამ ათი წლის განმავლობაში არ დარჩა არც ერთი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე თუ სათანადო განყოფილების უფროსი, რომელსაც ქაღალდზე გადაწყვეტილება, მითითება, დადგენილება თუ დაპირება არ გაებრტყელებინოს, ხოლო დისპანსერი უპატრონო გერივით იმავე ათ კვადრატულ მეტრ ოთახში იყო და არის შეკედლებული.

ბოლოს კომპრომისების ძებნა დაიწყეს: ახალი შენობის აგება არ გამოვიდა? მოგვეცით გამონაცვალი, სხვისაგან დაწუნებული ფართობი, აგერ რამდენი სახლი შენდება, მათ დაბლა სართულებში რომ დარაბებია ნაგულისხმევი, გამოიყოს იქიდან 150 კვადრატული მეტრი ფართობი და გადაეცეს თბილისის ონკოლოგიურ დისპანსერსო. ეს აზრი გაიზიარეს და ვისაც ეხებოდა დაავალეს, ხოლო დღევანდლამდე საქმე „მაგრამის" პერიოდს მაინც არ სცილდება.

იყო შემთხვევა, როცა ასეთი უყურადღებობით გაბეზრებულმა სპეციალისტებმა პრესასაც მიმართეს. გაზ. „კომუნისტის" რედაქცია შეეკითხა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. ჯანდაცვის მინისტრმა მეტად ოპტიმისტური „თამასუქი" გასცა: „კომუნისტის" რედაქციას აცნობა, 1955 წლიდან დაიწყება 150-საწოლიანი ონკოლოგიური სტაციონარის მშენებლობაო. სხვა რომ არა იყოს-რა, 1956 წელი, როგორც ვიცით, დიდი ხანია, რაც გავიდა.

როგორც ხედავთ, ვიღაცამ პრესის წინაშეც სირცხვილი ჭამა. დღესაც გრძელდება ასე.

თბილისის საქალაქო ონკოლოგიურ დისპანსერს კი იმ სამადლო 10-კვადრატიან ოთახიდანაც კი აგდებენ, როგორც მიტმასნილს, უპატრონოს.

განა უხერხული იქნება თუ გამოინახება კონკრეტული დამნაშავე, ვისაც ასეთი დაუდევრობით ჩაშლამდე თუ არა, დაკნინებამდე მიჰყავს ონკოლოგიური დისპანსერის მეტად დიდმნიშვნელოვანი მუშაობა?

აი რას გვიამბობენ საბუთები.

ფარსადანი

ნახ. ზ. გოგოლაძისა

მიამსგავსა



— დედა, ბუა მოდიის!..

# აქსიომა

ჩემი ერთი მეგობარი ილუზიონისტთა ხელოვნებას გასცნობია და ასეთ გამოცანას გვთავაზობს: თვალები ამიხვიეთ და მარტო ხელის შეხებით გეტყვით, წიგნის ავტორი ცოცხალია თუ არაო.

ჩვენც სიხარულით ვეთანხმებით, თვალებს ხილაბანდით მაგრა ვუკრავთ და პირველსავე ხელში მოხვედრილ წიგნს ვაწვდით. ისიც ხელს მიუსვ-მოუსვამს, ჩაიცინებს და ამბობს—ამის ავტორი გარდაცვლილიაო. მართლაც ეს წიგნი ერთ-ერთი ჩვენი კლასიკოსისა აღმოჩნდა. მეორედ ახალ გამოცემულ წიგნს ვთავაზობთ, იმასაც ფურცლავს და ამბობს—ესეც გარდაცვლილიაო. გაოცებულნი ყველანი თვალებს ვაჭყეტთ. თვალის ახვევაში ეჭვი შეგვაქვს, კიდევ ერთ ხილაბანდს ვუმატებთ და ახლა სხვა წიგნს ვაძლევთ.—ეს კი ცოცხლისა არისო, სიცილით ამბობს იგი და წიგნს უკან გვიბრუნებს.

კარგა ხანს გვაწვალა ასე. ყველაფერზე სწორი პასუხი მოგვცა, არც ერთხელ არ შეეშალა. ხილაბანდი მოვხსენით და ხვეწნა დავუწყეთ ჩვენთვისაც აეხსნა ამ ახალი ფოკუსის საიდუმლოება.

ჯერ იუარა, შემდეგ ტკბილად გაიცინა და გვითხრა:

— ეს ფოკუსი კი არა, უბრალო აქსიომაა. ცოცხალი მწერლის წიგნი გამოდის მშვენიერ პრიალა ქაღალდზე, მიცვალებულისა კი—უბრალო გაზეთის ქაღალდზე!

მართლაც, რა უბრალო რამ ვერ გავიგეთ!

ეთერი ჩხიკვაძე

## ქარაგმული ნაკვესები

1. პოეტს უთხრეს: ლექსს ვერ დაგიბეჭდავთ, სულ არ იხვეწებიო.

2. უნივერმაღში იმდენი ქუდები მოეტანათ, თავზე საყრელად ჰყოფნიდათ.

3. მოსწავლის საკონტროლო ნამუშევარს წითელი ხაზივით გასდევდა მასწავლებლის შენიშვნები.

4. ხორცკომბინატს ხორცი არ უვარგოდა, გეგმა კი წარმატებით ხორციელდებოდა.

5. ავადმყოფს სიცოცხლე სწყუროდა, ექიმი კი სულს ალევინებდა.

6. პაემანზე მომლოდინე ქალიშვილს წვიმაში ნერვიულობისაგან თმის ფერიც კი მისდიოდა.

7. გადამყიდველს ერთი წყვილი ფეხსაცმელი ფეხზე ჰქონდა, მეორე კი—ხელზე.

8. ქათამს ჰკითხეს—რა არის შენში დადებითიო—და კვერცხიო.

9. დისერტანტს ჰკითხეს—რაზე მუშაობო—და გარკვეულ საკითხზეო.

არჩილ თაყაიშვილი




ნახ. გ. ფირცხალავასი

— სამკარიანი რომანი.

იაროსლავ ჰაშეკი



ამბობენ, დიპლომატები უთავოები არიანო. ამას განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში იმეორებენ დაჟინებით. მაგრამ ეს მტკიცება ბათილდება დიპლომატ კამელელ გრაფ რუდოლფის ჭეშმარიტად კლასიკური მოღვაწეობით. მას მხრებზე თავი ება და დიდი ჭკუის პატრონიც იყო, რაშიც ახლავე დარწმუნდებით.



კამელელი გრაფი რუდოლფი შთამომავლობით ძველ აზნაურულ ოჯახს ეკუთვნოდა. ამ ოჯახმა კაცობრიობას შესძინა მთელ ქვეყნიერებაზე განთქმული იდიოტი—კამელელი პანი იანი, ჭეშმარიტად მსოფლიო მასშტაბის ადამიანი: მან დაწერა წიგნი, რომელშიც ამტკიცებდა, დედამიწა არ ბრუნავსო. იგი რუსეთის სამეფო კარზე ელჩად იყო, სულიც იქვე განუტევა და ჯერ კიდევ თანამედროვე ისტორიკოსების მიერ მიჩნეულ იქნა „მსოფლიოს უდიდეს იდიოტად“, რაც ჩეხურად ასე ჟღერს: „ნეივიეტში იდიოტ ვე ვესმირუ“.



კამელელ პან იანს ჰყავდა ვაჟი კარელი, რომელსაც აკვიატებული ჰქონდა ერთი აზრი: მალე სასახლის სეფე ქალად გადავიქცევიო. ეს აზირებული აზრი ყმაწვილის თავიდან რომ გამოებერტყათ, სველ საფენებს ადებდნენ შუბლზე. კარელს დარჩა ერთი ვაჟი—იოსეფ ანტონინი. იგი ბავშვობაში სასახლის კიბიდან გადმოვარდა და თავი გაიტეხა, რის გამოც ეგრეთ წოდებული ტრავმატული ნევროზი დაჰყვა. მან ძლივს მიაღწია გენერლობას. აი, ამ იოსეფ ანტონინის ვაჟი გახლდათ ზემოხსენებული რუდოლფი.

როცა რუდოლფი დაიბადა, ოჯახში ბჰობა გამართეს და გადაწყვიტეს, დიპლომატი უნდა გახდესო, რათა ამით მთელ იმპერიაში ოდესღაც სახელოვანი კამელელი გრაფის გვარეულობის დიდება კვლავ აღდგენილიყო.

აკვანში მწოლარე ჩვილ რუდოლფს ამის საპასუხოდ ერთი სიტყვაც არ დაუძრავს, ოღონდ სახვევი ჩვრების გამოცვლა კი დასჭირდა.

ეს იყო მისი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი დიპლომატურ სარბიელზე. უფრო გვიან კი გამოირკვა, რომ ბევრი წყალი ჩაივლიდა, სანამ იგი ენას ამოიდგამდა—თითქმის რვა წლამდე ყრმა რუდოლფი ყოველ საგანს „მამას“ უწოდებდა, მხოლოდ ქილებს, ყავას, ან სუპს რომ დაინახავდა, იტყოდა ხოლმე „დედაო“.

მაგრამ ათი წლისას უკვე უდიდესი წინსვლა დაეტყო. ცოტცოტაობით, ოღონდ უფრო გარკვეულად და შეუცდომლად დაიწყო საგნების გარჩევა და ექვსი მასწავლებლის შემწეობით, 15 წლის ასაკში, სხვის დაუხმარებლად თავისუფლად შეეძლო თავისი სა... ხელის დაწერა და წაკითხვა. კიდევ სამი მასწავლებელი მიუჩინეს, რომლებმაც ნამდვილ საქმეს მოკიდეს ხელი და შეუდგნენ ცხოვრების ასპარეზზე ყმაწვილი კაცის გამოყვანას. 18 წლის ამ კეთილშობილ ჭაბუკს სხაპასხუპით და დაბეჯითებით შეეძლო ეპასუხნა, რომ არსებობს ქვეყნის ხუთი მხარე და მათი ჩამოთვლის დროს იშვიათად თუ გამორჩებოდა ერთი ან ორი მხარის დასახელება. ეტყობოდა, მისი ინტელექტი დღითი დღე კი არა, საათობით იზრდებოდა და მასწავლებლები შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ: ამ ყმაწვილისგან ნამდვილი დიპლომატი რომ დადგეს, უკვე საჭირო... მთელი რიგი სახელმწიფოების არსებობაც იცოდესო.

თავისი გამჭრიახობისა და ცოდნისადმი შეუნელებელი ლტოლვის წყალობით, სულ რაღაც შვიდიოდე წლის განმავლობაში, 25 წლისამ უკვე იცოდა ევროპის ყველა სახელმწიფოს სახელწოდება, 30 წლის ასაკში კი სახელმწიფო სამსახურშიც შედგა ფეხი, რადგან ამ დროისათვის საკმაოდ შეითვისა ბანქოსა და ბაქარა... თამაში. ამაში თანდაყოლილი ნიჭი გამოიჩინა. იგი საგარეო საქმეთა სამინისტროში მოაწყვეს, სადაც უძილო ღამეების შემდეგ... დღენიადაგ დადიოდა გამოსაძინებლად.

ერთხელ საგარეო საქმეთა მინისტრმა მხარზე ხელი მიუტყაპუნა და უთხრა, საიდუმლო დავალებით მეზობელ, მეორეხარისხოვანი იმპერიის დედაქალაქს უნდა გაემგზავროო. ეს საიდუმლო დავალება გახლდათ ოქრობოქრო ნაწერით აჭრელებული ქაღალდის ფურცელი. ამ დაშიფრულ დოკუმენტში წამოყენებული იყო წინადადება ორ სახელმწიფოს შორის რაღაც ხელშეკრულების დადების შესახებ. ხელშეკრულება მიმართული უნდა ყოფილიყო მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც უკანასკნელ ხანებში ყელამდე ვალებში ჩაეფლო იმის გამო, რომ ქვემეხების სიმრავლეში მოქიშპე არავინ ჰყოლოდა.

კამელელმა გრაფმა რუდოლფმა აიღო პორტფელი ამ მნიშვნელოვანი დიპლომატიური დოკუმენტით და დაუყოვნებლივ მეზობელ სახელმწიფოსკენ გასწია.

როცა უცხო დედაქალაქის სადგურიდან ოტელში მიდიოდა, იგრძნო, რომ სადღაც რაღაც მთლად რიგზე არ იყო. და მართლაც, მას პორტფელი აღარ ჰქონდა, ვაგონში დავიწყებოდა. მაგრამ ვერასგზით ვერ მოიგონა, რა დაკარგა და საერთოდ რა მოხდა. როცა სასტუმროში მივიდა, აზრზეც არ იყო, რისთვის ჩამოვიდა აქ და რა უნდა გაეკეთებინა ამ უცხო ქვეყანაში. თვით სასტუმროს პატრონმაც კი, რომელსაც ტელეფონთან გამოუძახა და ელაპარაკა, ისეთი ვერაფერი უპასუხა, ჭკუაში რომ დასჯდომოდა.

მაშინ ადგა და ქალაქში გავიდა. ამ დროს მოაფიქრდა, რაკი აქა ვარ, შემიძლია პაპიროსი მაინც მოვწიოო.

უახლოეს მაღაზიაში შეიარა და ძვირფასი სიგარეტები მოითხოვა.

— ბოდიშს ვიხდით,—მოკრძალებით უპასუხა მაღაზიის პატრონმა,—ჩვენი ფირმა ლითონის პროდუქციით ვაჭრობს და არავითარი სახის თამბაქო ჩვენ არ მოგვეპოვება. ვყიდით ყოველგვარ ხრახნებს, ლურსმნებს, ქანჩებს, სამოვრებს; შეგვიძლია შემოგთავაზოთ პატენტიანი „კრეოსი“ ნავთისთვის.

— ეს აუტანელი შეურაცხყოფაა!—წამოიძახა კამელელმა გრაფმა რუდოლფმა.—თქვენ უარს მეუბნებით სიგარეტი მომყიდოთ მე, უცხო ქვეყნის წარმომადგენელს...

— პატენტიანი „კრეოსი“ ნავთისთვის...—ენის ბორძიკით უპასუხა შეშინებულმა ვაჭარმა,—პატიოსნებას გეფიცებით, ძვირფასო პანე, აქ ლითონნაკეთობათა მაღაზია გახლავთ.

— ეს ომის მომასწავებელია,—ღრიალებდა გრაფი რუდოლფი,—ასეთ საქციელს ჩვენი ქვეყანა დაუსჯელად არ დასტოვებს. აგაწიოკებთ, მიწასთან გაგასწორებთ და ერთ მილიარდსაც აგკიდებთ სამხედრო ხარჯების ასანაზღაურებლად.

ცოფმორეული გრაფი მაღაზიიდან გამოვარდა და ღამის მატარებლით სამშობლოს მიაშურა. ღამითვე ლოგინიდან წამოაყენა საგარეო საქმეთა მინისტრი.

ნამძინარევმა პან მინისტრმა მოუსმინა კამელელ გრაფ რუდოლფს, როგორ გააწბილეს იგი უცხო ქვეყანაში და სიგარეტიც არ მიჰყიდეს.

— ძვირფასო გრაფ,—მთქნარებით უთხრა მინისტრმა ელჩს,—გაუგზავნეთ მათ მკვახე ხასიათის ნოტა, ახლა კი ღამე ნებისა.

მთელი ღამე გრაფი რუდოლფი ლოგინში ტრიალებდა და იმეორებდა: „გაუგზავნეთ მკვახე ხასიათის ნოტა, გაუგზავნეთ მკვახე ხასიათის ნოტა; დალახვროს ეშმაკმა, ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს ეს მკვახე ნოტა?“

დილით ადგა და ქალაქში გავიდა, სულ იმ ნოტაზე ფიქრობდა. ანაზდად ერთი მაღაზიის აბრაზე წაიკითხა „Notenhandlung“—„იყიდება ნოტები“.

უმალ ავტოდან გადმოხტა და მაღაზიაში შევარდა.

— მომეცით რომელიმე მკვახე ხასიათის ნოტა,—დაუღრიალა მან გამყიდველ ქალს,—რაიმე ძალზე მკვახე, ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი და ტანი!

— თუ ასეა, ინებეთ „რაკოცის მარში“,—შესთავაზა გამყიდველმა.

გრაფმა დააგდო დახლზე ფული, ხელი დასტაცა ნოტებს და შინისკენ გაქანდა. თვითონვე ჩააწყო კონვერტში ნოტები და მეზობელი სახელმწიფოს მისამართი დააწერა.

შემდეგ, კბილების ღრჭიალით, გრაფმა თავისი ხელით წაიღო ფოსტაში „რაკოცის მარშის“ ნოტები.

სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს იყო უბრწყინვალესი შემთხვევა მისი დიპლომატიური პრაქტიკიდან.







ჩეხურიდან თარგმნა
შ. მგინრიძემ

## შიშს დიდი თვალები აქვს

ნახ. გ. გორდელაძისა



— იცი, ჩემო ძვირფასო, ჩვენს მადლენას ცნობილი კრიტიკოსი თხოულობს!
— ვაიმე, სახლშიც კრიტიკა?!

ნახ. ე. ამაშუკელისა



— თინიკო, გუშინ ვანომ სიყვარული ამიხსნა.
— არ ენდო, გოგო, ეგ ხომ ამინდის ბიუროში მუშაობს.

## ზრდობის ანბანიდან

ნახ. დ. ერისთავისა



— დედა, ეს რა გაბ...ი კაცი მოდის!
— უი, შენ კი გენაც..., ჩემო ენატიკტიკა ბიჭო!

ნახ. ზ. ნიჟარაძისა



— დედიკო, ეს „პობედა“ მიყიდე!
— როგორ სულ მამაშენს ემსგავსები, ბიჭო, რამდენი „პობედა“ უნდა გამოიცვალო წელიწადში?

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ინგა, სად მუშაობს შენი ხაქმრო?
— რომელი?

# ჩვენი ხუმრობები

### ცნობისმოყვარე კაცი

იყო ერთი ცნობისმოყვარე კაცი. ქალაქში აფიშებსა და განცხადებებს წაუკითხავს არ დატოვებდა. ერთხელ ბოძზე გაკრული ქაღალდი შენიშნა. დაბლიდან ვერ წაიკითხა. თუ არ ვნახე აქ რა წერია, რაღა კაცი ვარო, და აცოცდა ბოძზე. ბევრი იცოცა, თუ ცოტა, სასურველ ადგილს მიაღწია. ქაღალდზე ეწერა:

— ფრთხილად, შეღებილია!

### ყოველდღიური ამბავი

ერთ ოჯახში ცოლი და ქმარი ხშირად ჩხუბობდნენ. მიზეზი უბრალო რამ იყო—ცოლი რიგის ავეჯს თხოულობდა, მსუბუქ მანქანას, საუკეთესო კურორტების საგზურებს. ქმარი ჯიუტობდა—სად შემიძლია ამდენიო. გაუწყდა ცოლს მოთმინების ძაფი და დაუდევარ ქმარს სასამართლოში ამოაყოფინა თავი.

— გაყრა უსიამოვნებისათვის? — წარმოსთქვა სინანულით მოსამართლემ.

— არა,—წამოიძახა ქმარმა, — სიამოვნებისათვის!

### ზრდილობიანი პასუხი

ერთი ახალგაზრდა ტრამვაიდან ჩამოხტა. სად იყო და სად არა, გაჩნდა მილიციელი.

— მოქალაქე, რატომ ჩამოხტით ტრამვაიდან?—შეეკითხა მილიციელი.

— სინდისს გეფიცებით, არ ჩამოვმხტარვარ, კონტროლიორმა ჩამომაგდო!—მიუგო ახალგაზრდამ.

**ზ. მარმარაშვილი**

ნახ. თ. გიგაურისა



— მომილოცე, ძია სტეფანე, ენა ჩავაბარე.

— მადლობა ღმერთს, იქნებ ჩემმა ყურებმაც დაისვენოს.

## სასაფლაოს სართულები

პეტრე-პავლეს ეკლესიიდან ოციოდე მეტრის დაშორებით ერთ პატარა საფლავზე ათიოდე ჭირისუფალს მოეყარა თავი. ღრმად დამწუხრებულები აფუებულ მიწას მუხლებით დაყრდნობოდნენ, ხოლო პატივსაცემად მოსულნი ფეხზე მყოფნი იზიარებდნენ მწუხარებას.

საფლავიდან ორი მეტრის დაშორებით ხუთიოდე ქალი იდგა, რომელთა ტირილსა და გოდებას ყურადღებას არავინ აქცევდა.

— ადექ, კატო, ადექ და გაგვიხარე გული, მოგვხედე შენგან დაობლებულებს.—წამოიძახა რომელიღაც ჭირისუფალმა.

განდგომილებიდან ერთმა აქამდის რაღაცაზე გულნატკენმა მანდილოსანმა ველარ მოითმინა, მომტირალ ჭირისუფალთან მივიდა, იღლიაში წასწვდა, მეზობელ საფლავისაკენ გაიყვანა და უკმაყოფილოდ ჩაულაპარაკა:

— კატოს რაზე ეძახით, ქალბატონო, როცა დეიდაჩემს სიცოცხლეში მარგო ერქვა. თუ მოხვედით და გინდათ პატივი გვცეთ, ძალიან კარგი, მაგრამ სახელის გამოცვლა რაღა საკადრისია!

— რასა ბრძანებთ, ქალბატონო, დეიდაჩემს და არა დეიდათქვენს შინაურობაში კატოს ვეძახდით და გარეთ კი ეკატერინეს. ჩვენი თუ არა გჯერათ, აი, სასაფლაოს ზედამხედველ სირაძესა ვკითხოთ.

სირაძე, მეტრით ხელში, იქვე ახლოს ვიღაცის საფლავს ზომავდა და უბის წიგნაკში რაღაცას იწერდა...

— ჩემო ძმაო, შენ კარგად იცი, ეკლესიასთან ოცი მეტრის დაშორებით ჩვენი უბედური ლიზას საფლავი რომ არის...

— რომელ სართულზე?

— რას ამბობ, კაცო, სოლოლაკში ხომ არ გგონია თავი, სართულებს რომ მეკითხები! სასაფლაოზე-მეთქი, სასაფლაოზე.

— მე გეკითხებით იმიტომ, რომ პირველი სართული კატოს ეკუთვნის, ამ ჩვიდმეტი წლის წინ გარდაცვლილს, ხოლო მეორე სართული—მარგოს, ამ შვიდი თვის წინ გარდაცვლილს... თქვენ ნუ იჩხუბებთ და მიცვალებულებზე ნუ წუხდებით, თვითონ მორიგდებიან.

ჯერაც ვერ მორიგებულან ამ ორი მიცვალებულის ჭირისუფლები, დღესაც 26 კომისრის სახ. რაიონის პროკურატურაში მეორე სართულზე მიმდინარეობს ამ სადავო სართულების საქმის განხილვა, მაგრამ სასაფლაოს თანამშრომლებს სადავო რა აქვთ, როცა მიცვალებულთა შორის თანხმობაა და პირველ-მეორე სართულებზე განსვენებულებს არც უსახელო წერილების წერა შეუძლიათ და არც კიდევ საჩივრისა.

**ვ. კახელიშვილი**

**ვ. დილმელიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძმაო ნიანგო!

თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე მდებარეობს აგურის ფაბრიკა. ყოველ საღამოს ამ ფაბრიკიდან იშვიათი სურნელების წყალს უშვებენ.

ეს წყალი გუბედ დგება, რაც ფაბრიკის ეზოს ცოტათი მოშორებულია და ალბათ იმიტომ გვიცხადებს ფაბრიკის დირექტორი—გუბე ჩემს უფლე-



ბებში არ შემოდის, ბაყაყებისა და კოლო-ბუზების სამფლობელოაო.

აბა, ბაყაყებს რა ველაპარაკოთ, იმათ ჩვენთვის არა სცალიათ, თავისთვის ყიყინებენ ყურისწამღებად. ამიტომ სტალინის რაიონის სანეპიდსადგურს რამდენჯერმე არზა მივართვით—ასე და ასე, გვიშველეთ, სუნი გვახრჩობს, ბავშვები გარეთ ვერ გამოსულან. მოვიდა კომისია, ნახა გუბე, მგონი, ფაბრიკის დირექტორსაც ესაუბრა და წავიდა. ერთი სიტყვით, მშრალზე დაგვტოვეს, ისე, რომ წყალში მაინც ვდგევართ.

ახლა ერთი რამ დაგვრჩა სანატრელი სამტრედიის ქუჩაზე მცხოვრებლებს: იქნებ რაიონის სანეპიდსადგური ჩვენს ქუჩაზე გადმოვიდეს, მაშინ შორს აღარ მოგვიწევს განცხადებებით სიარული და ესეც შეღავათია!

**ს. ზუხელი**

## საყვარელო ნიანგო!

იცი აკეთის ჩიხი? არის ასეთი ქუჩა. იგი ავჭალის გზატკეცილზე მდებარეობს. აქ მცხოვრებლების მდგომარეობაში მტერი ჩააგდოს: გზა ჩვენ არა გვაქვს, წყალი და ელექტრონი. ჩვენი ბედი, რომ აქამდე ჩვენს პირდაპირ მდებარე ძაფსართავი ფაბრიკიდან ვსარგებლობდით ყველა ამ სიკეთით.

მაგრამ ფაბრიკა გაფართოვდა და ჩვენი ქუჩაც „ჩავარდა". გზა გადაგვიკეტეს, წყალი და ელექტრონი გადაგვიჭრეს, თვითონაც არ ჰყოფნით.

ვინ აღარ შევაწუხეთ: მივმართეთ თბილსაბჭოს კომუნალურ განყოფილებას, თელასს, წყალკანალტრესტს. ისინიც სიტყვით დახმარებას გვპირდებიან, მაგრამ საქმით, სჩანს, მალე ავიწყდებათ. მათი დაპირება — მიმოწერების



ასლები თავის დროზე შენც ხომ გადმოგიგზავნეთ

ამ გაწამაწიას ისიც დაუმატე, რომ ამჟამად ცენტრალურ ქუჩაზე გასვლა გვიხდება მხოლოდ ძაფსართავი ფაბრიკის ტერიტორიიდან. სადაც გარეშე პირები არ უნდა დადიოდნენ.

საყვარელო ნიანგო, შეახსენე ქალაქისა და რაისაბჭოს მესვეურებს, რაკი ჩვენი აქედან აყრა და ქუჩის გაუქმება უაზრობა იქნებოდა, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი დეფექტები უნდა გამოსწორდეს.

**აკეთისჩიხელი**

## ძმაო ნიანგო!

როგორც სხვაგან, ისე ქ. მახარაძეშიც უყვართ ჩაი. ამიტომ აქ გახსნილია საჩაიე № 1. თურმე, ამ საჩაიეს გამგეს მოსე სკამკოჩაიშვილსაც ჰყვარებია ჩაი, იმ განსხვავებით, რომ, სხვები თუ ჩაის სვამენ, სკამკოჩაიშვილი ჩაის „ჭამს".

მაშ სკამკოჩაიშვილს ჩაის ხმარების საკითხში რაღაც სიახლე შემოუტანიაო,—იტყვი შენ.



შემოიტანა, მაშ!.. და უნდა ითქვას, ის შემოტანილი ზოგი რამის გატანაშიც ეხმარება მოსეს. როგორო, იკითხავ. როგორ და. ჩაი რომ დალიო, ჩაიდანში ჩაი უნდა ჩაყარო. სკამკოჩაიშვილი ჩაიდანში დამწვარ შაქარს ჰყრის და ჩაისფრად შეღებილ წყალს ნამდვილ ჩაით ასაღებს. შენი ცნობისმოყვარეობის ამბავი რომ ვიცი, ალბათ, იმასაც იკითხავ, რატომო? ეჰ. ძმაო ნიანგო, ანგარიშის საქმე არ არის? კილოგრამი შაქარი 9 მანეთი ღირს, ერთი კილოგრამი ჩაის ფასი კი 50 მანეთიდან 100 მანეთამდე მერყეობს. ახლა საქმე რაშია, ძმაო ნიანგო, მახარაძეში არავინ დაინტერესებულა იანგარიშოს, გამგედ დანიშვნის დღიდან აქამდე მოსემ რამდენი კილოგრამი ჩაი «შეჭამა», რადგან მოსე თავისებურად იმართლებს თავს: ჩაიში კოფეინია და გულსა სწვავსო.

მოსემ, ალბათ, არ იცის, რომ ჩაიმ პირის დაწვაც იცის.

**ა. ნადარაია**



უტექსტო ხუმრობა





ნახ. ლ. მარტაშვილისა

რედაქტორი—ელგუჯა მაღრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги". რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49 3-76-69

გამომც. № 11, ხელმოწ. დასაბ. 10/VI -1957 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0.5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. 14.
შეკვ. № 688. უე 02452. ტირ. 30.000.

სპხ. ე. ბერძენიშვილისა

თბილისში არ არის არც ძეგლი და არც ქუჩა ვახტანგ გორგასალისა,
რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ჩვენი დედაქალაქის დაფუძნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვახტანგ გორგასალი: მოველ, ვინათგან ღირს ვარ მოგონებისა, რამეთუ ჟამთაღმწერელი
თბილისქალაქის დამაარსებლად მრაცხს მე